

სიენა

გამოცემის 47-ე წელი ფასი 20 კპ.



ნ.ს. გ. ფინანსისტები

— ის დროა, კურის ქარხნაში მუშაობას თავი დაანებო და ხე-ტყევი მოეფყო!

23.70

შვილი ზამთარს და

ჩემი უმცროსი ვაჟი, სკოლამდელ ასაკში, მეტად ცელქი და ხიფათიანი გახლდათ. თითქმის ყველა ბავშვი ცელქია, მაგრამ კვიმატიანი და საფრთხილო, მათ შორის, ბევრი როდია. ჩვენს დათუნას ასანთით თამაში უყვარდა. იგი ხშირად ტოვებდა ჩართულს ელექტრონს, უთოს, უნებართვოდ ანთებდა ღუმელს, „ნავთგაჭურას“. ერთი სიტყვით, ცეცხლს ეთამაშებოდა. ასეთ გართობას კი რა მოსდევს, კარგად მოგეხსენებათ. ჩვენ, მშობლები, ყოველ ღონეს ვზმარობდით, რათა ბავშვი გადაჩვეოდა ამ ავისმომტან, სახიფათო გართობას. დღედაღამე ჩავჩიჩინებდით, რომ „იყო სოფელში, გინდა ქალაქში, სახიფათოა ცეცხლთან თამაში-მეთქი“, მაგრამ ვერაფერს გავხდით. კიდევ კარგი რომ გონებაში ჩაბეჭდილი გვქონდა აუცილებელი და საჭირო მცნება: „ხანძრის შემთხვევაში დარეკეთ ტელეფონით — 01“. ამ ცოდნამ კიდევ ბევრჯერ გადაგვარჩინა დაწვისა და დაფერფვლისაგან.

ერთადერთი იმედი გვრჩებოდა — სკოლა. პედაგოგების გონიერებისა და გამოცდილებისა გვჯეროდა. შესრულდა თუ არა ბავშვი შვიდი წლის, იმწამსვე გავაქანეთ სკოლაში. გავიდა ერთი წელი და დათუნას გამოსწორების ვერაფერი შევატყვეთ. დამთავრდა არდადეგები, დადგა ახალი სასწავლო წელი და... აქ მოხდა საოცრება, ბავშვმა სკოლაში მიცემული გაკვეთილების ცხრილი სახლში მოიტანა, შეაგსო, საწერ მაგიდასთან ჩამოიკიდა და... იმ დღიდან სათოფეზე აღარ გაჰქარებია ცეცხლს. ის კი არა, „ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულთა რიგებშიც“ კი შევიდა. ეს მეტად სასიამოვნო გარდასახვა ჩვენთვის დიდხანს რჩებოდა ამოუხსნელ ამოცანად. სანამ, ერთ მშვენიერ დღეს, არ დავინახე ჩემი ვაჟი გაკვეთილების ცხრილზე მიშტერებული. ჯერ ვიფიქრე, ცხრილს ეცნობა-მეთქი, მაგრამ დიდხანს რომ არ მოაცილა მზერა და თან რაღაცას იზეპირებდა ბუტბუტით, დავეკვიდი. მივუახლოვდი და

ყველაფერი ნათელი გახდა: ჩემს წინ იყო „საქ. სსრ შსს სსს და ნსს ც/ს პრეზიდიუმის“ მიერ „მეცნ. აკად. სტამბაში“ გამოცემული „გაკვეთილების ცხრილი“, რომელსაც ამშვენებდა მოწოდება: „მოსწავლეებო შედით ნორჩ მოხალისეთა სახანძრო რაზმეულთა რიგებში“. ფურცელი მოხატული იყო ფერადი სურათებით, რომელთაც თან ახლდა ლექსად დაწერილი რჩევა-დარიგებანი.

პოეზიისა და პლაკატშეგონების ეს ბრწყინვალე ნიმუშები ისეთი გამართული ქართულით, დახვეწილი ენით იყო დაწერილი, იმდენად შთაბეჭდავად და მუსიკალურად უღერდა, რომ გავოცდი. ჩემი აღფრთოვანება თქვენთვისაც რომ გასაგები იყოს, მოგიტანთ რამდენიმე მაგალითს ამ ცხრილ-პლაკატიდან:

არ ანთოთ შინ ნავთქურა,
როცა დარჩეთ მარტო,
ცეცხლი მულამ საშიშია,
ცეცხლი არაა სანდო.
ხო მ ბ რ ყ ი ნ ვ ა ლ ე ა ?
ან და:
ნუ ანთებთ ნავთგაჭურას,
სანთელსა და ლამფას,
კაცსა ხანძრის გაჩენისთვის
ხიფათში რომ აბამს.
ერთ-ერთ სურათს მიწერილი აქვს:
„არ ანთოთ ღუმელი და
ან თვითმადუღარი,
სულ გახსოვდეთ ეს სახანძრო
რჩევა-საუბარი.“

დაკვირვების შედეგად აღმოვაჩინე, რომ ფურცლისთვის ჯერ ილუსტრაციები შეუქმნიათ, ხოლო შემდეგ შეუთხზავთ შესაფერისი ტექსტი:

ვინც ელექტრონს ჩართულს
ტოვებს
სახიფათოს იგებს მახეს,
ხანძარს თუ რა შეუძლია
აი, აქვე დაინახეთ.
შემდეგ:
დააკვირდით ამ სურათს
დამერწმუნეთ ამაში,
ხშირად ხანძარს გამოიწვევს
ცეცხლთან თქვენი თამაში.
დამაჯერებლად, მოწოდებდნენ გაისმის ბოლო სტროფი:
სულ გახსოვდეთ ხანძრის
კერა
არსად გააჩინოთ,
და სიკეთის კვალი ოჯახს
მულამ დააჩინოთ.


როგორც შეამჩნიეთ, ავტორს ბავშვები არც ბევრი სასვენო ნიშნით შეუწუხებია, ალბათ იმ მიზნით, რომ ტექსტი მარტივი და ადვილადსათვისებელი იყოს.

კიდევ ერთი დიდი ღირსება აქვს ამ ცხრილს: გვანცვიფრებს გამომცემლების საზრიანობა და სიბეჯითე, მათ ტექსტების ავტორად შეურჩევიათ კაცი, რომლის გვარიც თავისი უღერადობითა და შინაარსით პირდაპირ კავშირშია თემასთან — ცეცხლ აძე. იქნებ ეს ფსევდონიმა? არა გვეგონია. ასეა თუ ისე, დიდი საქმე გაკეთებულია. ახლა კი ჭეშმარიტად მჯერა, რომ საქართველოში ყველა პოეტია. რომ ჩვენში ყველა ლექსს წერს. თვალსაჩინო აგიტაციის ძალასა და აუცილებლობაშიც დავრწმუნდი. აბა, ამ მარგალიტების წაკითხვის შემდეგ, ჩემს შვილს სხვა რა გზა ჰქონდა, რომ არ გადასხვაფერებულიყო! მაღლობის მეტი რა გვეთქმის!

სამწუხაროა მხოლოდ, რომ ეს საზრიანი, მაღალმხატვრული, ჭკვიანურად დაწერილი, საჭირო ცხრილ-პლაკატი მცირე ტირაჟითაა გამოცემული (სამასი ათასი ცალი) და ფასიც მცირე აქვს (10 კაპიკი).

კიდევ ერთხელ ვიხდით მაღლობას!

მადლიერი მშობელი, გურამ გომარათელი



ნ.ხ. ჯ. ლოლუასი

— მართალი უთქვამთ შენზე, მისი წონა ფული კმის!

თქვენი გულწრფელად

ლხინადავლილ სუფრას ოც კაცზე მეტი ვუსხედით. ჩემს პირდაპირ კინორეჟისორი იჯდა. „ესაა კაცი“? — ვფიქრობდი გუნებაში გულწრფელად, — „მაგის გადაღებულმა ფილმებმა ხალხს ინფარქტი დამართა. კინოს გადაღებას კი არა, სამი ბაგის მოვლას არ მივანდობდი...“

თამადამ კინორეჟისორის სადღეგრძელო შესვა და ალავერდს ჩემთან გადმოვიდა.

— თქვენ რომ არ გვყავდეთ, რა ეშველებოდა ქართულ კინემატოგრაფიას! თქვენი სურათები ოქროს საგანძურში შევა! თქვენ გინოსი ხართ! თქვენ კიდევ ას წელიწადს უნდა იცოცხლოთ, სულ ცოცხა ორასი სურათი რომ გადაიღოთ-მეთქი, — ვთქვი რიხით და ყანწი ბოლომდე დავცალე...

* * *

პრის ხუთი დაესია და ისე მიბეგვეს, სასწრაფო დახმარების მანქანით გახდა წასაყვანი. როგორც ყოველთვის, მილიციაც შემთხვევის ადგილას დროზე მოვიდა.

— ვინ უყურა ჩხუბს? ვის შეუძლია, ამოიცნოს თუნდაც ერთი ხულიგანი? — იკითხა წესრიგის დამცველმა.

„მე ვუყურე ჩხუბს, ერთს კი არა, ხუთივე ბოროტმოქმედს ვიცნობ-მეთქი“, — გავიფიქრე გუნებაში და ხმამალა ვთქვი: მართლა მოხდა აქ ჩხუბი? არაფერი დამინახავს, არაფერი ვიცი!..

* * *

ლიკაპორკა დაბადების დღეზე დამპატიჟა. საჩუქრად ხუთას-მანეთიანი სანადირო თოფი ვუყიდე.

„აქედან გამოვარდნილი გყვია გეცეს შუბლში-მეთქი“, — გავიფიქრე გულწრფელად.

— პანთეონოვიჩ, თუ შენი ორგული ვიყო, ორივე ლულა ერთად დამეცალავს მკერდზე-მეთქი, — ვუთხარი იუბილარს და საჩუქარი გადავიცი.

* * *

რაბ ამას „ანონიმები“ აქვს დაწერილი, ფილმად რომ გადაიღო, ოკდახუთსერიანი დეკეტეგივი გამოვა. სიკვდილმაც იმ დროს უწია, მეზობელს რომ აბეზღებდა, თუ პატიოსანი კაცია, ყოველდღე „მზიურს“ საიდან ეწევაო“.

„ჯოჯოხეთშია მაგ სულწაწყმენდილის ადგილი“, — ვფიქრობდი გულწრფელად.

„ეგ მკვდარი უნდა იყოს და მე ცოცხალი?! ღმერთო, სადაა სამართალი,“ — მივაბლავლე განსვენებულის შვილს, ჩვენს მმართველს და ისე ჩავესკენი, ძლივს მომაცილეს.

აღამიანებო! სადაც უნდა იყოთ — მტკვრისპირას, გზისპირას, მთისპირას, ზღვისპირას, — იფიქრეთ მხოლოდ და მხოლოდ გულწრფელად!

რეჟო მაჭავარიანი

დამაკვირდი

უფროსის ქული უქმად რომ დევს, ისიც საქმეა, ყველას ჰგონია, რომ თვითონაც სადღაც აქვია.

შური, ჩამომხმარ-ჩამომდნარი ოხვრით და კვნესით, იმ მორიელს ჰგავს, თავს რომ იკლავს საკუთარ გესლით.

უცნაურია, მაგრამ სინდისს აქვს ეს თვისება, რომ ირეცხება, უფრო მეტად მაშინ ისვრება.

ბრიგოლ ჩიქვილაძე



ნახ. მ. აბაშიძის

— ცოდვა არ არის, მაგიერ, მს ლომები გალიაში რომ სხედან?!

— არაფერი უჭირთ, შვილო, მგც ასე ვიჯები ათი წელი, მაგრამ არ მოვმეფდარკვარ!



ნახ. ა. კანდელაკის

— რატომ იცვლით ასე ხშირად ფსევდონიმებს?
— ჩემი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე უნდა გავეშუქარო მკვლევარებს, ახლა რომ ძალდასც არ მაგდებენ.

მინიატურები

სკლეროზი

კარდელა მინდორში მასწრობელა გველი დაინახა. დაჯდა და დაიწყო ფიქრი — „ნება, სად მიწაზე, ან რას მაგონებს ეს ოხერიო?...“ ვერ წყლის მილი ეგონა, მერე იფიქრა: იქნებ, ელექტროგაყვანილობის კაბელიაო. იფიქრა, იფიქრა და ვერაფრით გაიხსენა...
მორალი: კიდევ იცვიან, სკლეროზისაგან ვინ მომკვდარაო.

პროკლევა

დათვა სამი კუმბეგრი შეშა დააპო. ლომმა გაიღიმა და თქვა: — საერთოდ დათვი მუშაკაცია, მაგრამ ისეთი არაა, რომ ასე უფროსების დასანახავად შუა სოფელში მყავდეს დასახლებულიო. სადმე მოშორებით გადაასახლეთო. გაგზავნეს ტყეში. დათვნიამ ტყეში, სამის მაგიერ, ორი კუმბეგრი შეშა დააპო. ან რაზე უნდა გაეწვადებინა თავი? სულ ერთია, უფროსები მაინც ვერ ხედავდნენ. ლომი გაბრაზდა. — გამაცილეთ, კიდევ უფრო შორს გაგზავნეთ! — აღრიალდა იგი. გაგზავნეს მიყრუებულ მთაში. დათვი გალოთდა და სულ მიანება თავი მუშაობას.
მორალი: ვინც შეშას აპობს, ყველა ლოთი როდია!

ფუტკრები

პროსელ ფუტკრებს, თავლის წარმოების ამალების მიზნით უფროსად ხოჭო დაუნიშნეს. მივიდა ხოჭო ადგილზე, მიიხედ-მოიხედა და, უპირველესად, ყველაზე ფართო, სინათლიანი და ფიჭიანი სკა კაბინეტად აირჩია. შემდეგ ორი კალია საწყობის გამგედ დანიშნა, სამი ახალგაზრდა ჭრიჭინა — შრომის ინსპექტორებად, ლოკოკინა — მონაგარიშედ, ბუზი — მთავარ ბუღალტრად; გარდა ამისა, ოთხი ლამაზი პეპელა აარჩია და პირად მდივნებად დანიშნა. ამ საქმიანობას რომ მორჩა, მწერალი ყანა მოიწვია, ბრძანება უკარნახა, მერე მემანქანე პეპელას გადააბეჭდვინა და სკის კედელზე გამოჰკიდა. ბრძანებით ფუტკრებს ევალებოდათ, ეფრინათ რაკეტის სისწრაფით, სადილისთვის შესვენება არ გაეკეთებინათ და გადამუშავებისათვის პრემია არ მოეთხოვათ. გავიდა დრო. ფუტკრები შრომისაგან დაიღალნენ. პეპლებმა კი დასასვენებელი სახლის საგზურები მიიღეს შავი ზღვის სანაპიროზე. წლის ბოლოს გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა და მთავარ ბუღალტერს — ბუზს ორმაგი პრემია გამოეწერა.
მორალი: როდის იყო, ძროხები პრემიებს იღებდნენ? პრემიებს იღებენ მწველავეები!

პასტაზე გოგოლაშვილი

ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს უფასო მომსახურების ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ორგანიზაციები, სამედიცინო მომსახურების ღირებულება საერთო ცხოვრების დონესთან შეფარდებით სამჯერ და უფრო მეტად იზრდება.



ამერიკული „სასწრაფო“ დანებარება.



ისრაელ ექსტრემისტებს სურთ არაბულ ქვეყნებს „საკუთარი“ მშვიდობა მოახვიონ თავს, რაც აგრესიის შედეგების დაკანონება იქნებოდა ახლო აღმოსავლეთში.

პერმსონის „სამშვიდობო“ ნაბიჯები.

ინტელიგენტი

ნაილი „მიჯნუს“

(პლასტიკური ოპერაციის შემდეგ)

შენ არწივად იყავ დაბადებული, რად გინდოდა, ნებაგ, მგრედის „ნისკარტი“? რომ იცოდე, ეგრე გაგიჟებული, მაგ მეფური ცხვირის გამო მიყვარდი!..

ჩემი გული მხოლოდ შენთვის დნებოდა, შენსა სახეს გულში ხავად ვსახავდი! უცხვირიპირო კაცი რომ მდომებოდა, როგორ ფიქრობ, განა ვერ მოვნახავდი?

დღეს დავგირი ჩემი ხატის ნარჩენსა, ახლა ქვეყნად აღარა მაბადია. მე ოდესღაც ვუმადლოდი გამჩენსა, შენი სახე თვით რომ მოუხატავია...

თავს რომ სეგყვა დაგვებოდა ქვისაო, ან მგრის ტყვია მოგბვედროდა სახეში, ამომღები არ ვიყავი ხმისაო, არ დაგთმობდი, ჩავარდნილს განსაცდელში!

ახლა გგოვებ, სამუდამოდ, იცოდე, ჭმუნვის გვირთმა გამიღია ქანცია, დე, ჩემსავით ცხელ გაფაზე იწვოდეს, ვინც გირჩია ცხვირის ოპერაცია!

მაგიდას ოთხნი მოუსხდნენ. ახალმოტანილი სალათა რიგრიგობით გადაიღეს თუფშებზე. — აუ!.. მარლის მოყრა დაიწყებია იმ ოჯახქორს! — არც სუფრაზეა მარლი! — ოფიციალტ!.. მარლი! — ა... ბატონო, მარლი! იმ სუფრაზე წაუღიათ. — მოიბოღიმა ოფიციალტმა და საგვე სამარლზე წერტილვით დასვა სუფრის ცენტრში. ფართოულვაშებიანმა ახალგაზრდამ, რომელიც, ეტყობოდა, „პასმელიაზე“ იყო, სამი თითი გააქანა სამარლში და, თითების სწრაფი მოძრაობით, სალათას მოაყარა მარლი. შავსეტირნიანმა ზუსტად გაიმეტრა ულვაშის მოძრაობა. პირხმელმა დინჯად აიღო სამარლი, ხელის გულზე გადმოიყარა მარლი, მერე იქიდან სამი თითით აიღო და თავის სალათას მოაყარა. ჯერი ხუჭუჭთმიანზე მიდგა. მან გაუმედავი მოძრაობით მაგიდიდან დანა აიღო, უხერხულად ჩააყო სამარლში და ხელის კანკალით მოაყარა ულუფას. — რას შვრები, ბიჭო?! — გაიკვირა ფართოულვაშნიანმა. — არ დამიწყო ახლა ინტელიგენტობა! — ჩაიციანა შავსეტირნიანმა. — არ აპატიოთ კაცს თითის გაჭრა, — დაირცხვინა „ინტელიგენტმა“. მარჯვენა ხელისგული გადმოაბრუნა და გაჭრილი ცერა თითი უხვენა თანამესუფრეებს. — მარცხენა ხელით ვერ აიღებდი მარლილს? — შეუტია ფართოულვაშნიანმა.

განხილვა

ისმ შემოათავდა ხელში საკუთარი ლექსი, თვითონ ვერ გაიგო, რა სურდა ეთქვა.

ვერც სხვებმა გაიგეს. ტაში მაინც გაისმა კანტიკუნტად.

ტაშის დამკვერელებს ჰკითხეს:

— რატომ უკრავთ, რა მოგეწონათ?

— რომ ვერ გავიგეთ, ის მოგეწონათ.

— რა თქვა ახალიო?

— ახლის თქმა რომ შეეძლოს, დისერტაციას დაიცავდაო.

როგორც იქნა, დამთავრდა განხილვა.

პურ-მარილი ელოდებოდათ. ხელისჩამქნევლებზე ხელი ჩაიქნია ავტორმა. ტაშის დამკვერელებს ხელი შემოჰკრა და იარეს:

...გოჭის თავი იღიმებოდა სუფრიდან.

ყურები ააგლიჯეს, — რასაც ჩვენ აქ ვიტყვით, არ გაიგონო.

ენა ამოაგლიჯეს, — ჭყვიტინი გიყვარდა, არსად წამოგცდესო.

— ტინს რა ვუყოთო?

პატრონს დავუტოვოთო, — ჩაიქირქილეს.

— პოეტს გაუმარჯოსო!

თითის წვერი გაუტყლიჯა ერთმა ფეხით მეორეს.

დაცარიელდა ჭიქები.

— პოეტის მომავალს გაუმარჯოსო!

ნეკნები ჩაუმტვრიეს ერთმანეთს.

დაცარიელდა თასი.

— პოეტის კალამს ვადღეგრძელებთო.

აივსო ყანწი.

იცეკვეს, იღრევეს. მერე თვალი ჩაუკრეს ერთმანეთს.

— ნახვამდის, პოეტო!


— მომავალ შეხვედრამდე!

— აბა, შენ იცი ახლაო!

ინსტიტუტიდან საბუთები გამოიტანა, სამსახურს თავი მიანება, თმა გაიჩენა და შუბლი შეიჭმუნა, პოეტი ვარო.


თეიმურაზ ლანჩავა

ნახ. ა. პარპიხისა



უსიტყვოდ

ნახ. რ. ჯაფარიძე



უსიტყვოდ

გოგნი ჭირი მარგებელია

პასიანე, ამ ბოლო ხანს, ძალიან გასუქდა, მოუხშირა სმას და სიარულს მოუკლო. პირდაპირ რესტორნის კართან ჰყავდა დაყენებული გაკრიალბული „ვოლგა“. კაბინეტის სკამიდან გადაინაცვლებდა „ვოლგის“ საჭესთან.

— ნამეტანი გავსუქდი, დაბო მიშლის საჭის ტრაილს, ცოტა უნდა მოვიკლო, გულიც მაწუხებს, კიბეზე ვერ ავდივარ, ნეტავი, შეიძლება დავსკლატორის გაცემა ჩვენს სახლში, შევჯდებოდი და შევსრიალდებოდი ოთახში ვოლგაზე! — შესჩივლა ერთ დღეს ცოლს კასიანემ.

— შე უბედურო, ესკალატორი კი არა, ცოტა ფეხით იარე მეტი, თორემ მალე ვერ შეიტევინ შენს ვოლგაში და რა გეშველება?

— მე რაში ვეტივი, ეგ შენი საქმე არ არის, შენ ხვალ ექიმთან წამიყვანე, გული მაწუხებს ძალიან!

— ექიმთან, თორემ ძალიან დაიჭერებ მის რჩევა-დარიგებას! ხომ გითხრა, ბევრი არ ჭამო, არ სვა, ბევრი იარეო? შენ რა ჰქენი?

— არ ვიარე მერე? ორი კვირა სულ ფეხით დავდიოდი, ბორჯომი

სამჯერ მე ამოვიტანე სარდაფიდან. კუს ტბაზე ვიყავი ფეხით.

— რა აზრი აქვს შენი ფეხით სიარულს? კუს ტბამდე ორი რესტორანი გამოიცვალე და იქიდან ხომ ვოლგით წამოხვედი?

— იქიდან ვოლგით მოვიდოდი, აბა, სულ ხომ არ ვიწანწალე ფეხით? რას გეტყვი, იცი? ფეხით რომ მოვდივარ სამსახურიდან, ათას მძაკაცი შემხედება და ხაღმე გავუხვევ ხოლმე, ვოლგით კი მოვსრიალდები ერთ წუთში. ბოლოს და ბოლოს, ვოლგა ტყუილა ვიყიდე?!

მეორე დღეს ექიმმა ქვეყნის წამლები და ნემსები გამოუწერა კასიანეს, ცოტა ხნით კურორტზე ურჩია წასვლა, მაგრამ, ვაი, საოცრებავ.. იმდენი იკვლიეს — „ვოლგა“, ორი აგარაკი და ცოლის სამი ქურკი. რომელი ხელფასი იყიდაო, კურორტის მაგიერ, თავი კასიანემ ციხეში ამოჰყო. სუფთა ჰაერზე ფიზიკურმა მუშაობამ, ნორმალურმა კვებამ და სასმელებისგან იზოლაციამ ისეთი კარგი შედეგი გამოიღო, რომ ვერც ერთი კურორტი ვერ მოახდენდა ასეთ სასწაულებრივ მოქმედებას. ციხი-

დან ისეთი გაახალგაზრდავებული და ღიბჩამოვარდნილი გამოვიდა, რომ მეგობრები ვერც კი ცნობდნენ.

— ბიჭო, რომელ კურორტზე იყავი, ასე რომ მოგიხდა?

— ვენაცვალე იმას, ვინც მე ამ კურორტზე გამაგზავნა, თორემ ახლა მკვდარი ვიქნებოდი. მართალია, ვოლგა და აგარაკები აღარა მაქვს, მაგრამ გული მაქვს ჩიტივით. ჭანჭრთელობას რა სჯობს? მეც ვივლი ახლა ქალაქის ტრანსპორტით და რა გამასუქებს?!

— კასიანე, ბიჭო, მართლა ციხეში იყავი? რა ჰქენი ამისთანა?

— რა და, სახელმწიფო ქონება ჩემი მეგონა. კი ვსვი და კი ვჭამე. 115 კილო ვიყავი, რომ დამიჭირეს, ჩემს ქვედა საცვლებს რომ ფენდა ჩემი ცოლი, თქვენთან პარაშუტისტი ხომ არავინ არისო, კითხულობდნენ მეზობლები. ახლა 80 კილო ვარ. გული ხელით მეჭირა. ახლა სად აბრახუნებს, არც კი ვიცი. ხომ გავიგონათ, ზოგი ჭირიც მარგებელია?!

თინა შორაშვილიანი



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

ზ. გოლჭავაძე (პ/მზ. მღივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალონი, ბ. ნიუნიაანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ზელიძე.

საბრისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველი: პრესკამპტი № 42.

თბილისი, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი «ნიანგი». ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.

საერთო განყოფილების 93-10-78.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადამცემ სასაქონლო 12/XI-70 წ.

ხელმოწერილია დასაბამად 3/XII-70 წ. ქალაქის ზომა 70x108 1/8.

ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ

ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14

ფაქს. № 3383.

შპ № 00692.

ბირაში 115.300.



КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ


1
1970

70-772



ქართული
ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76137



— აქთან თუ არ მოგვცხ დაშენების უშლ-
ბა, დავიღუპებით!



ნ.ბ. ლომიძის

